1. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ძველ-ბერძნული, ეს სიტყვა ერთცნებიანი კომპოზიტია. აქ ძველსა და ბერძნულს სხვადასხვა მნიშვნელობა არ აქვს. ამ სიტყვათა შეერთებით მივიღეთ ერთი ზედსართავი სახელი. ამას იოლად მიხვდებით, თუ მათ შორის და კავშირის ჩასმას შევეცდებით. ძველბერძნული ერთად იწერება, უდეფიზოდ.

2. სტილისტური შეცდომაა ყველაზე ვრცელია, უნდა იყოს უვრცელესია, რადგან ამ ზედსართავ სახელს ეწარმოება უფროობითი ხარისხის ფორმა და მისთვის სიტყვა ყველაზეს დამატება სტილისტური ხარვეზია.

3 . მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა მარშუტი, უნდა იყოს მარშრუტი. ეს სიტყვა უცხოურია და დედანში (ლათინურში) ასე იწერება, ამოტომ ქართულშიც გადმოჰყვება რ თანხმოვანი.

4. სინტაქსური შეცდომაა "ყველა დეტალების გათვალისწინებით". უნდა იყოს "ყველა დეტალის გათვალისწინებით", რადგან ყველა მორფოლოგიურად განსაზღვრებითი ნაცვალსახელია, რომელიც მრავლობითს აღნიშნავს და მას წინადადების წევრები მხოლობით რიცხვში შეეწყობა.

5. მორფოლოგიურ- ორთოგრაფიული შეცდომაა 20ნიჩბიანი. უნდა იყოს 20ნიჩბიანი. ქართულში ციფრი სიტყვისგან ყოველთვის გამოიყოფა დეფიზით, მათ შორის, მაშინაც, როცა არაბული ციფრის დამატებით რიცხვითი სახელისგან ზედსართავია ნაწარმოები.

6. მორგოლოგიურ- ორთოგრაფიული შეცდომაა მადანიდან, უნდა იყოს მადნიდან. ქართულში თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები (უცხოურებიც), რომელთა ფუძეებშიც ალ, ან, არ, ამ ასოთშეთენხმებაა, იკუმშება, მათგან ა ხმოვანი ამოვარდება.

7. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა იხემძრვანელა, უნდა იყოს იხელმძღვანელა. ამ ზმნის საწყისია ხელმძღვანელი და ლ თანხმოვანი მას პირიან ფორმაშიც გადაჰყვება.

8. სინტაქსური შეცდომაა "ხელნაწერ წყაროებით", უნდა იყოს "ხელნაწერი წყაროებით". ზედსართავისა და არსებითის ერთად ბრუნებისას ზედსართავი ნაწილობრივ იბრუნვის და მას მოქმედებით ბრუნვაში სხელობითის ი დაერთვის (დიდი სახლით).

9. პუნქტუაციური შეცდომაა “მიუხედავად სახიფათო თავგადასავლებისა მათ... ” უნდა იყოს “მიუხედავად სახიფათო თავგადასავლებისა, მათ...”. “მიუხედავად ამისა” და “გარდა ამისა” (აგრეთვე მათი სხვა შესიტყვებაც) ჩართულია და მათ შედეგ ყოველთვის დაისმის მძიმე, მაშინაც კი, როცა ეს კონსტრუქცია წინადადების თავშია.

10. სტილისტური ხარვეზია “რომლის აღწერაც აპოლონ როდოსელმა განახორციელა”, უნდა იყოს “რომელიც აპოლონ როდოსელმა აღწერა”. ეს სტილისტური ხარვეზი რუსული ენიდან დამკვიდრებული კალკია.

ქართულში ითქმის მარტივად, წინადების მთავარი წევრის, ზმნის, მეშვეობი.

11. სინტაქსური შეცდომაა “ექსპედიცია ძალიან საინტერესო გამოდგა, რომელიც...”, უნდა იყოს “ექსპედიცია, რომელიც ძალიან საინტერესო გამოდგა, საქართველოში, ქალაქ ფოთში, დასრულდა”. რომელიც წევრკავშირი რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებათა შორის განსაზღვრებითში გამოიყენება და ის ზმნას არასდროს ებმის, არამედ -- სინტაქსურ მეწყვილეს, სახელხ (ექსპედიცია, რომელიც).

სინტაქსური შეცდომაა “ბევრი ჩვენი სკეპტიკოსი მეცნიერი” უნდა იყოს “ჩვენი ბევრი სკეპტიკოსი მეცნიერი”, რადგან რამდენიმე მსაზღვრელისას რიცხვით სახელს (ბევრი) ყოველთვის უსწრებს კუთვნილებითი (ჩვენი) ნაცვალსახელი